



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1149  
13/06/2018

ქალაქი ბათუმი

1149-05-4-201806131437



### ჯემალ შავლიძის - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ხელვაჩაურის წყალკანალი“-ს დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 თებერვლის N09 დადგენილებით დამტკიცებული ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების მე - 7 მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ლ“ ქვეპუნქტის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელის მერაბ თურმანიძის 2018 წლის 06 ივნისის N1597- 05 მომართვით წარმოდგენილი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „ხელვაჩაურის წყალკანალი“-ს მიერ 2017 წლის ხარჯთაღრიცხვის შესრულების შესახებ ფინანსური აუდიტორული ანგარიშის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. გათავისუფლდეს ჯემალ შავლიძე (პირადი N 61001033104) - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „ხელვაჩაურის წყალკანალი“-ს დირექტორის თანამდებობიდან 2018 წლის 08 ივნისიდან.

2. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი  
ხელმძღვანელობა